საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2619 2017 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ლ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის განმავლობაში შესაბამისი წლიური საბიუჯეტო კანონით მისთვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში უზრუნველყოს:

ა) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეები – საქვაბე და მშრალი კვებით;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე/სარგებლობაში არსებულ ობიექტებში განთავსებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეები – საბარათე კვებით.

2. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2018 წლის განმავლობაში წლიური საბიუჯეტო კანონით მისთვის გათვალისწინებულ

ასიგნებათა ფარგლებში საბარათე კვებით უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტებში განთავსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი